ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:ბ44.44212611

თარიღი:18/09/2021

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2022 წელს მონაწილეობითი (სამოქალაქო) ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - მონაწილეობითი ბიუჯეტირების კომისიის შექმნისა, მისი დებულების დამტკიცებისა მონაწილეობითი (სამოქალაქო) ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მონაწილეობითი ბიუჯეტირების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირაკლი ქარქაშაძე - მერის მოადგილე.

ბ) პეტრე ადამაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი.

გ) დავით ნიშნიანიძე - მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი.

დ) მირზა ხიდაშელი - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.

ე) მირზა მამასახლისი - ეკონომიკური განვითარების, ქონების და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი.

ვ) რუსუდან ჩინჩალაძე - ა(ა)იპ ,,ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ უფროსი.

ზ) ვაჟა ჯუღელი - ააიპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მმართველი.

თ) ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი “სპექტრი”, აღმასრულებელი დირექტორი;

ი) მარიკა ვაჭარაძე - რეგიონული ინიციატივებიც ცენტრი „ნათელი მომავალი“, დამფუძნებელი ხელმძღვანელი;

კ) ივლიტა გოგუა- მედია ორგანიზაცია Firstnews.Ge, დამფუძნებელი და რედაქტორი

ლ) ქეთევან ციბაძე - ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კოორდინატორი

მ) ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"-ს თავჯდომარე

ნ) ნინო თვალთვაძე - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის განვითარების მენეჯერი

ო) შალვა კირთაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მონაწილეობითი ბიუჯეტირების კომისიის დებულება დანართი N1 შესაბამისად.

/დანართი N1 თან ერთვის/

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2022 წელს მონაწილეობითი (სამოქალაქო) ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დამტკიცდეს:

ა) მონაწილეობითი (სამოქალაქო) ბიუჯეტის პროგრამის, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმის განხორციელების წესი დანართი №2;

ბ) საპროექტო განაცხადის წარმოდგენის ფორმა დანართი №3;

გ) საპროექტო განაცხადის ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუქცია, დანართი №4;

დ) გამარჯვებული პროექტების განხორციელების მონიტორინგის ინსტრუქცია, დანართი №5;

ე) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის (www.ideakutaisi.ge) გამოყენების წესები და პირობები დანართი N6;

ვ) პროგრამის შესაბამისი ეტაპების განხორციელების ვადები დანართი N7.

4. მონაწილეობითი (სამოქალაქო) ბიუჯეტის პროგრამის განსახორციელებლად 2022 წლისათვის გამოყოფილი ასიგნებების საერთო მოცულობა განისაზღვროს 100 000 ლარით;

5. 2022 წლისათვის მონაწილეობითი (სამოქალაქო) ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი 4 (ოთხი) გამარჯვებული პროექტის დაფინანსების ზედა ზღვარი თეთოეულისათვის განისაზღვროს 25 000 ლარით;

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით ინიცირების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 23 ოქტომბრის N2357 ბრძანება.

7. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში/ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 20 სექტემბრიდან.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი